[illegible] სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ოთხშაბათი, ნოემბრის 1
1922

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

ხუთშაბათს 2 ოქტომბერს

„თამარ ცბიერი“

დადგმა აკაკი ფალავასი.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

კ. 491 1—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ოპერა

ოთხშაბათს 1 ნოემბერს

ევგენი ონეგინი

ხუთშაბათს 2 ნოემბერს

ფაუსტი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია. კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

კ. 490 2—1

## საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი

IV

ამ რიგად ჩვენ ვიცავთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. კავშირზე ლაპარაკია პროექტშიაც, მაგრამ ჩვენ შორის მაინც დიდი განსხვავებაა. ჩვენ ვიცავთ ისეთ კავშირს, რომელიც შესდგება თანასწორ უფლებიან წევრებისაგან თანაბარი ხმით და მათთვის სუვერენობის დატოვებით. პროექტი კი იცავს ისეთ გაერთიანებას, რომლის წევრები წარმოდგენილნი არიან არა თანასწორად, არამედ პროპორციის მიხედვით და აგრეთვე სუვერენობის ცალკე რესპუბლიკებიდან ცენტრზედ გადატანით. ასეთი გაერთიანება უდრის ცალკე რესპუბლიკების გაუქმებას, ე. ი. უკან დაბრუნებას ერთიანი რუსეთისაკენ. ჩვენი მიზანი და საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესებიც მოითხოვს არა მთლიანი რუსეთის აღდგენას, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტის განმტკიცებას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედვას კლასობრივი და ეროვნული ინტერესების სოლიდარობა. ასეთი კავშირიდან ლოღიკურად გამომდინარეობს დაკავშირებულ რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოთა შეთანხმება საერთო საკითხებში და არა სრული გაერთიანება, რასაც პროექტი მოითხოვს. კავშირში შესულ რესპუბლიკებს უნდა ჰქონდეთ სრული კონტაქტის დამყარება შემდეგ შემათანხმებელი საერთო ორგანოები და არა სრულიად გაერთიანებული, საერთო საკავშირო ცენტრში შეთანხმებით გამომუშავდება საერთო ზომები და მას ცხოვრებაში ატარებენ ცალკე რესპუბლიკები საკუთარი აპარატით და ორგანოებით. ეს შეეხება სამხედრო-საზღვაო საქმეს, საგარეო პოლიტიკას, ფოსტა-ტელეგრაფს, რკინის გზებს და სხვა ასეთ მთავარ საერთო საქმეებს. დანარჩენ საკითხებში კი რესპუბლიკები არ საჭიროებენ საერთო შემათანხმებელი ცენტრის შექმნას და როგორც უნდათ, ისე განაგებენ თავიანთ საქმეებს. შეთანხმება საჭირო და აუცილებელია ისეთ საკითხებში, რომელიც ყველას ეხება, რომლის მოგვარება საერთო შეთანხმებული მოქმედებით უფრო ადვილია.

გარდა ამისა ცალკე რესპუბლიკებს უფლება რჩებათ შეუთანხმდნენ ერთიმეორეს ეკონომიურ თუ კულტურულ საკითხებში და შექმნან საჭირო საერთო ორგანიზაცია, რაც ცენტრსაც უნდა ეცნობოს, რომელსაც უფლება აქვს ეს არ დაუშვას, თუ დაინახავს რომ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის უფლების დარღვევა, ან ინტერესების შელახვას.

მაგრამ ყოვლად დაუშვებელია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებთაგან რომელიმე რესპუბლიკამ პოლიტიკური ხასიათის კავშირი შეადგინოს. ამის უფლება არ უნდა მიეცეს არავის, ვინაიდან ეს იქნებოდა საერთო კავშირში მეორე კავშირის შექმნა, რაც ან სრულიად ზედმეტია და უაზრო, ან მიმართული იქნება საერთო კავშირის წინააღმდეგ. ვისაც ეს სურს და საჭიროდ მიაჩნია, დეე იგი საერთო კავშირიდან გავიდეს და იმოქმედოს როგორც უნდა. მაგრამ საერთო კავშირშიაც იყოს და კიდევ პოლიტიკური კავშირი შეადგინოს პარალელურად,—არ შეიძლება. საბჭოთა რესპუბლიკები ერთმანეთს უკავშირდებიან არა მზაკვრული დიპლომატიური კომბინაციებისათვის, არამედ გულწრფელად საერთო ინტერესების შეგნებით. ამიტომ ჩვენ სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია ამიერ-კავკასიის ფედერაციის დატოვება, როცა სდგება ყველა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ ამიერ-კავკასია გავმიჯნოთ პოლიტიკურად და ეკონომიურად საბჭოთა რესპუბლიკების საერთო კავშირისაგან. და თუ ეს საჭიროა, მაშინ არ უნდა შევიდეს ამიერ-კავკასია საერთო კავშირში. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ უფრო საჭიროა ყველა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რაც ჰგულისხმობს, რომ უნდა გაუქმდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კერძო კავშირი და საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი დამოუკიდებლად შევიდნენ საერთო კავშირში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს აეკრძალოთ ურთიერთ შორის შეთანხმება და საერთო ორგანიზაციების მოწყობა. მაგრამ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ და ზედმეტად მიგვაჩნია, რომ საერთო კავშირის წევრებს შორის დარჩეს ან შეიქმნეს შიგ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კავშირი, ე. ი. არსებობდეს კავშირს შიგნით კიდევ ასეთივე კავშირი. ეს არც მიზანშეწონილია, არც საჭიროება მოითხოვს.

თმეგა.

## ფაშიზმის რეაქცია იტალიაში

ევროპის კონტინენტზე მეტად მნიშვნელოვან ცვლილებებს აქვს ადგილი. სოციალური კლასთა დაპირისპირება სასტიკ ფორმებს ღებულობს და გათავხედებული რეაქცია ლამობს ძირიან-ფესვიანად ამოფხვრას რევოლიუციონური მოძრაობა. გერმანიის ამბები და იქ მომხდარი შეტაკებანი ნათელს ჰფენენ იმ არა წონასწორ მდგომარეობას, რომელიც არის შექმნილი ევროპის სოციალურ კლასთა შორის.

მაგრამ რეაქციის კლასიკური მხარედ ამ ჟამად იტალია შეიქმნა. იტალიის ფაშისტურმა მოძრაობამ საერთაშორისო მნიშვნელობის სახელი მოიხვეჭა და სახსრეთ-სლავიის, უნგრეთის, საფრანგეთისა და პოლონეთის რეაქციონერები ენერგიულად ბაძავენ მას თავიანთ სამშობლოში მსგავსი ორგანიზაციის შესაქმნელად.

ჩვენ მკითხველს ცნობილი გვექნება ფაშისტების თავხედური მოქმედების შესახებ. მხოლოდ ისინი ყაჩაღურად თავს ესხმოდნენ მუშათა ორგანიზაციებს, აწყობდნენ ექსპედიციებს იტალიის ქალაქებში და მოითხოვდნენ პარლამენტის დათხოვნას, ამ ბოლო ხანებში ფაშისტურმა მოძრაობამ მეტად ფართო ხასიათი მიიღო, ისინი იარაღით ხელში იმუქრებოდნენ რომის დაპყრობას და პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას. პოლიტიკური კრიზისი იტალიაში იმდენად გაძლიერდა ფაშისტების ზეგავლენით, რომ დაეცა ფაქტას კაბინეტი და მეფის დასტური და ახალი პრემიერის ძებნა. ამ ხნის განმავლობაში ფაშისტებმა გააფართოვეს თავიანთი მოქმედების ბაზა და შეიპყრეს მთელს იტალიაში სახელმწიფო ადმინისტრაციების მოხელენი. მრავალ რაიონებში ხელისუფლება თანაგრძნობით შეხვდა მათ და გაუწია ყოველგვარი დახმარება. მნიშვნელოვანი დაწესებულებები და ქალაქები მათ ხელში გადავიდნენ ზოგიერთი მშვიდობიანი გზით დაპყრობილი, ზოგი კი—სისხლის ღვრის შემდეგ. მილანში ფაშისტებმა გამოუშვეს მანიფესტი, რომელშიაც აცხადებენ, რომ ისინი მიდიან რომზე. მთელი ძალაუფლება გადაეცა ფაშისტების კომიტეტს, სადაც მან მიიღო დიქტატორის უფლებები მოქმედებისათვის რომის გარშემო და მის მნიშვნელოვან პუნქტებში თვით მოიყვანა ფაშისტების რაზმები. მეორის მხრით, მთავრობა რომის სასტიკად დაცვას შეუდგა: ქალაქის მიდამოებში ჩაიყვანა მთავრობის შეიარაღებული ძალები. ამგვარად იტალიაში მეტად გამწვავებული მდგომარეობა შეიქმნა და იგი სამოქალაქო ომის წინაშე დასდგა. ფაშისტები და მთავრობა ერთმანეთს დაუპირისპირდა... მაგრამ სამოქალაქო ომის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ ახალი სიურპრიზი: იტალიის მეფემ კაბინეტის შედგენა მიანდო ფაშისტების მეთაურს მუსოლინს, რომელმაც იკისრა თავმჯდომარეობა და შინაგან და გარეშე საქმეთა სამინისტროების პორტფელი ჩაიბარა. კაბინეტი მიზნად ისახავს დაუბრუნოს იტალიას ძველი პრესტიჟი და შემოიღოს მტკიცე წესრიგი.

ამგვარად იტალიაში მოხდა მშვიდობიანი „გადატრიალება“ და ფაშისტებმა შეძლეს თავიანთი მიზნების მიღწევა: პოლიტიკური ძალაუფლების სათავეში მოქცევა.

ფაშისტურ პარტიას იტალიაში დიდი ხნის ისტორია არ აქვს. ის ჩამოყალიბდა და განმტკიცდა 1921 წელში ნოემბრის პირველ რიცხვებში. ერთი წლის თავზე ამ პარტიამ შესძლო იმდენად გაფართოვება და გაძლიერება, რომ იტალიის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოექცა. მან შესძლო თავის ირგვლივ თავი მოეყარა და ჩამოეყალიბებინა ყოველი ჯურის რეაქციონერები.

ფაშიზმა თავისი მოღვაწეობა დაუკავშირა „გამარჯვების დღესასწაულს“. 1921 წ. ნოემბრის ოთხს, იტალიაში გაიმართა პატრიოტული „გამარჯვების დღესასწაული“. რომში იტალიის ყოველი მხრიდან ათი ათასობით თავი მოიყარა შეიარაღებულმა ფაშისტებმა, რომ მონაწილეობა მიეღოთ „უცნობი მეომრის“ საგანგებოდ მოწყობილ დამარხვაში. დღესასწაულის შემდეგ ფაშისტებმა გახსნეს თავიანთი ნაციონალური ყრილობა, სადაც გადასწყვიტეს დაეარსებინათ ახალი „ფაშისტური პარტია“. ამ ყრილობის დროს რომის ქუჩები გადაიქცა ფაშისტების თავხედური მოქმედების სარბიელად. ფაშისტებსა და პროლეტარულ კავშირის შორის გაიმართა შეტაკებანი, რომლის დროსაც ათობით დაიხოცნენ ორივე მხრიდან. დაიჭრა აგრეთვე პარლამენტის ორი წევრიც. რომის პროლეტარიატმა ფაშისტების პროგრამას საერთო გაფიცვით უპასუხა. ფაშისტების ასეთ თავხედობას შედეგად ის მოჰყვა, რომ მთავრობამ განდევნა ისინი ქალაქიდან მათთვის ცალკე დამზადებულ მატარებლით. მაშინ ახალ პარტიის წევრები 230 ათასამდე ითვლებოდა და აგრეთვე ყავდა 35 დეპუტატი პარლამენტში. ფაშისტების ორგანიზაციაში შედიოდა 12 ათასამდე სამრეწველო მუშა და 36 ათასამდე გლეხი. ნახევარზე მეტი ფაშისტების ორგანიზაციაში იყვნენ ყოფილი ომში მონაწილენი. დღეს დღევანდელი ფაშისტური ორგანიზაცია მეტად გაიზარდა და რამდენიმე ასი ათასს აღწევს მათი წევრების საერთო რიცხვი.

მეომარ ფაშისტებს არ აკმაყოფილებდათ ნიტისა და ჯიოლიტის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. მათ არ მოსწონდათ ზომიერი თამაში მუშათა კლასის მიმართ, რომლის მიზანი იყო მოეტყუებინათ მუშები და შეეჩერებინა რევოლიუციონური მოძრაობა იტალიაში. მეორეს მხრით—ფაშისტები უკმაყოფილებას აცხადებდნენ მთავრობის პაციფისტურ ტენდენციების გამო საგარეო პოლიტიკაში.

ფაშისტების ბელადმა მუსოლინიმ თავის საპროგრამო სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ გვინდა ნაციისა და სახელმწიფოს იდენტიფიკაცია და გვსურს, რომ სახელმწიფომ აღადგინოს ყველასათვის თავისი ავტორიტეტი. თუ იტალიელი დღეს ვაშინგტონში მონაწილეობს, როგორც თანაბარი თანაბართან, ერთად მთელი მსოფლიოს ყველა დიდ მეკომპლექტებთან, ამას უნდა უმადლოდეთ 1915 წლის ინტერვენციონისტებს, რომლებმაც ჩასძახეს მძინარე იტალიას: იტალიავ, ითავხედე, რადგან მხოლოდ ამ გზით გექნება უფლება ხვალინდელი დღის ისტორიისათვის. თანამედროვე რეჟიმი აღარ ეთანხმება იტალიის ინტერესებს და აუცილებელი ხდება მისი დამხობა“. თავის სიტყვაში მუსოლინი არ იძლევა იმ რეჟიმის ნიშანს, რომელიც შესაძლო იყო მისი აზრით იტალიისათვის. „ეკონომიურ კითხვებში—განაგრძობდა ორატორი, მე ანტი-სოციალისტი ვარ და სრულებით არ ვწუხვარ, რომ დიდი ხნის გამოცდილება მივიღე სოციალისტურ ბანაკში. კარგი არის, რომელსაც ამ დღიდან შემდეგ ცხოვრებას სხვა და სხვა ნაირი გამოცდილება. ეკონომიკაში ჩვენ გვინდა ვიყოთ ლიბერალები, ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით. ჩვენ არ გვინდა ვემსახუროთ მასას!“

ფაშისტები შეიპყრეს იტალიის ყოველ კუთხეში და ჩანს თავიანთი მოსახლეობა. გლეხობის [illegible]; ჩვენ მოი ჩანილი მუშათა წრეებშიც გაჰყავთ ფაშისტების მოძრაობას და ამ რიგად შავმა რეაქციამ პროლეტარიატის რიგებშიც ნახა თავისი გამოძახილი.

იტალიის რევოლიუციონურ მოძრაობას ჰქონდა ბრწყინვალე დღეები; ეს იყო 1918—20 წლებში, როდესაც მუშათა კლასი მოძრაობაში მოვიდა და პოლიტიკური ძალა ხელში ჩაგდებისაკენ მიილტვოდა. დღეს იტალია შავი რეაქციის მარწუხებში არის მოქცეული. ამ დიდ ცვლილებაში, იტალიის რეფორმისტებმა თავისი შესაფერისი როლი ითამაშეს. მათ თავიანთი დახმარებით დიდი სამსახური გაუწიეს ბურჟუაზიას და ხელი შეუშალეს მუშათა კლასს რევოლიუციონურ მოძრაობაში. იტალიის რევოლიუციის შეფერხება და მუშათა კლასის დამარცხება—ეს უმთავრესად არის იტალიის რეფორმისტების საქმე.

ფაშისტების გამარჯვება დამყარებული რეაქციის გამარჯვებას უდრის იტალიაში. ამჟამინდელ ფაშისტები თავიანთი პარტიული ორგანიზაციების საშუალებით არღვევდნენ და ანადგურებდნენ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, ამას შემდეგ მათ საშუალება ეძლევათ სახელმწიფო აპარატიც გამოიყენონ და ამგვარი სახით დაუპირისპირდნენ მუშათა კლასს. საგარეო პოლიტიკაში ფაშისტების კაბინეტი შეეცდება უფრო აქტიური პოლიტიკის გზას დაადგეს. მუსოლინი ამტკიცებს მით, რომ იტალიამ თავისი შესაფერისი ადგილი დაიჭიროს საერთაშორისო პოლიტიკაში, მაგრამ მისი წინაპრების პაციფისტურმა პოლიტიკამ დიდი ზიანი მიაყენა იტალიას. მართალია ომის შემდეგ იტალია ყველაზე უფრო მშვიდობიანი პოლიტიკის მატარებელი იყო და ცდილობდა ნორმალური პირობების აღდგენას. დღეს იტალია აქტიურად გამოვა თავისი იმპერიალისტური პოლიტიკით და ამ პროგრამის განსახორციელებლად თავის შესაფერისს მეგობარსაც დაძლევს.

ფაშიზმი არის ახალი ფორმა კაპიტალის ახალი შეტევისა მუშათა კლასის მიმართ, მის გამარჯვებას მოჰყვება როგორც იტალიაში, ისე საგარეო პოლიტიკაში რეაქციის გამარჯვება.

მაგრამ ფაშისტური მოძრაობა იწვევს მუშათა კლასის გამარჯვებას და მათ დარაზმვას.

ფაშიზმის დიქტატურა გზას უკაფავს მშრომელი კლასის დიქტატურას იტალიაში.

სიმონ ხუნდაძე.

# ნარკვევი

### რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

„იზვესტიაში“ მოთავსებულია ეგოლინარის წერილი ინდოეთის თანამედროვე რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ, რომელიც მოგვყავს შემოკლებით:

„პენჯაბში, ერთ უმთავრეს პროვინციაში ინდოეთისა, ამ ჟამად სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა მსხვილი მიწისმფლობელებისა და აჯანყებულ გლეხობას შორის. მთავარ როლს ამ აჯანყებაში ასრულებს სამხედრო ტომი სიკებისა; ისინი შეადგენენ ერთ მეთერთმეტედ ნაწილს პენჯაბის მცხოვრებთა და მათ შორის უმრავლესობა მიწათმოქმედ-მუშებია. სიკები—მხედრული ხალხია და მათ ძველი სამხედრო ტრადიცია აქვთ; ისინი საუკეთესო ნაწილს ჯარისკაცებისა იძლეოდნენ ინდოეთში და იბრძოდნენ ევროპასა და მესოპოტამიაში. ომის შემდეგ საბიუჯეტო მოსაზრებებით ისინი დემობილიზაციაში მოყვნენ.

მსოფლიო ომმა ბევრი რამ ასწავლა სიკებს; ისინი თავიანთ ქოხებს რევოლიუციონური სულით დაუბრუნდნენ. 1918 წლიდან ოფიციალური ცნობები სავსეა პენჯაბში აგრარული უწესოებების მოხდენით, აჯანყებით და სისხლის ღვრით. 1918 წელს დაარსებულ იქნა სიკების ლიგა. 1920 წელს ის მიუმხრო ინდოეთის ეროვნულ კონგრესს, ე. ი. „ანტი კოოპერაციით“ წოდებულ მოძრაობას, ინგლისის საქონლის ბოიკოტს და ხარკის გადახდაზე უარის განცხადებას.

ამის შემდეგ მრავალი მაგალითი იყო რელიგიოზური და სოციალური კონფლიქტებისა, რომელმაც შემდეგში პოლიტიკური ხასიათი მიიღო. სიკებმა შეადგინეს მთლიანი ფრონტი მთავრობის წინააღმდეგ. სიკების დეპუტატებმა დაატოვეს საკანონმდებლო და პროვინციალური პალატები. სიკების პოლკები აწყობდნენ დემონსტრაციებს სამხედრო აღლუმების დროს და აფერხებდნენ ეროვნულ ემბლემას; მთელი გუნდები ჯარის კაცებისა პროტესტს აცხადებდნენ. შიმშილით გაფიცვით მდგომარეობა იმდენად სერიოზული შეიქმნა, რომ უელსის პრინცის მოგზაურობის დროს იძულებული შეიქმნენ დათმობაზე წასულიყვნენ და დატუსაღებულები გამოეშვათ, გადაეცათ „ოქროს ტაძრის“ გასაღები სიკების კომიტეტისთვის და ნდობა დაერთოთ უფლება ეროვნული ემბლემის ტარებისა. უკანასკნელ თვეებში მოძრაობა ენერგიულად ვითარდება. გლეხთა ლიგას ახალი დროშის შემდეგი პროგრამა აქვს: სასულიერო წოდების მიწების განაწილება, გაუქმება მიწის მიჯნებისა, პასიური წინააღმდეგობა, უარის თქმა მთავრობისათვის ხარკის გადახდაზე და იჯარის გადახდისა მოიჯარადრეებისათვის. დაიწყო ახალი დატუსაღებანი: 3000 კაცი ციხეშია დამწყვდეული; პრესა სავსებით ალაგმულია. მიუხედავად ამისა მოძრაობა მაინც იზრდება. მთელ პენჯაბში ვრცელდება მოხალისეთა ბანდები, რომელნიც ატარებენ ეროვნულ ტანისამოსს და ტრადიციულ მოკლე შუბებს; მათ ვერ აჩერებს ვერც დატუსაღება, ვერც ჯარი და სისხლის ღვრა.

ლონდონის პრესა პენჯაბში შექმნილ სიტუაციას უდრისათ კრიტიკულად სთვლის; თითქმის მთელ პენჯაბში სწარმოებს ბრძოლა. მთავრობას კვლავ არ მფლობელებთან შესაძლებელს ყოფს მოძრაობას აგრარულ რევოლიუციათ გადაქცევისას.

იმ დროს, როდესაც ვაჰრენსი და

მრეწველობისათვის ეროვნული ალორძინება იღებს ფისკალურ და პოლიტიკურ ავტონომიის მოთხოვნილების ხასიათს; იმ დროს, როდესაც საშუალო კლასებსა და ინტელიგენციაში ეს ეროვნული ალორძინება გამოიხატება „ანტი კოოპერაციის" მოძრაობაში; როდესაც ქალაქებში სწრაფ მიდის შეურიგებელი გაფიცვები პროლეტარიატისა,— სოფლებში მადრასიდან პენჯაბამდე, ბომბეიდან ბენგალამდე ადგილი აქვს მიწათმოქმედ მეჯანყეებსა და სისხლიან კონფლიქტებს.

აძლევდენ თავიანთ ობლიგაციებს ტრესტსა და სამაგიეროთ იღებდენ აქციებს. კომიტეტი ი შესდგებოდა ცხრა წევრისაგან და მათ შორის იყვნენ ჯონი და ვ. როკფელერი. ტრესტის საკუთრებას მაშინ შეადგენდა 75 მილიონი დოლარის ქონება.

წმინდა შემოსავალმა „სტანდარტ-ოილისა" 1920 წელს მიაღწია 164 461 409 დოლარს. თვით ფოლადის ტრესტმაც კი წმინდა შემოსავალი მხოლოდ 111 მილ. დოლარი შეადგინა. 1912 წელს „სტანდარტ ოილის" კაპიტალი შეადგენდა 276.635.957 დოლ., ხოლო ახლა კი მისი ნომინალური ღირებულება უდრის 1.016.356.911, ე. ი. 10 წელში ოთხჯერ გაიზარდა. 1921 წლის განმავლობაში ტრესტმა გაატარა ნავთსადენი 460 მილით, ხოლო თავისი ფლოტი კი 155.855 ტონით. ამ ჟამად ეს ფლოტი შეადგენს 871.500 ტონს. ამ ჟამად ტრესტს განზრახვა აქვს ბიდოს კონტროლი ახალ სანავთო საზოგადოება ხუსტი-ოილზე, რომელსაც აქვს კონცესიები ერთ მილიონ აკრზე ტუხარის იმ ნაწილში, რომელიც მდიდარია ნავთით.

პრეზიდენტი ლუ[illegible] იქნება შინაგან საქმეთა ვიცე-სეკრეტარი, ფაშისტი ოჩერო—პრემიერის [illegible] სეკრეტარი, [illegible]

**ფაშისტების რომში შესვლა.**

რომი 30 ოქტ. მილიონ რომში ფაშისტებს რაზმების ტრიუმფიალურ შესვლას რომლებიც თავმოყრილი არიან რომის კამპანიაში მეფესთან მისასალმებლად.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**საფრანგეთს იმედი აქვს ინგლისის თანამშრომლობისა.** საფრანგეთის პრესა განაგრძობს თავის კომენტარიებს ინგლისში მთავრობის კრიზისის გამო. გაზეთები აღნიშნავენ ლოიდ ჯორჯის დამსახურებას, რომელიც მან გამოიჩინა ომის დროს, მაგრამ სინანულით აღნიშნავენ, რომ მას დაავიწყდა საფრანგეთთან კეთილი შეთანხმების აუცილებლობა. მთელი პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალი კაბინეტი დარწმუნდება საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობაში, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროა არის დღეს. „პტი პარიზიენი" სწერს, რომ ყოფილი პრემიერი იყო ისეთი კაცი, რომელსაც ომის დროს შეეძლო დარწმუნება მასში, თუ როგორი ურყევი და არსებითი მოკავშირე იყო საფრანგეთი ინგლისისათვის. „ჟურნალი" გამოსთქვამს სურვილს, რათა ახალმა მთავრობამ ყოველივე ილონოს მნიშვნელოვან საკითხების შეთანხმებით გადაჭრისათვის. „ევრი" აცხადებს, რომ პუანკარე ყოველივე ღონეს იხმარს საფრანგეთის და ინგლისის შეთანხმებისათვის, რომელიც საუკეთესო გარანტია იქნება ომის საშიშროების წინააღმდეგ.

**პოლონეთი კმაყოფილია.** ლოიდ ჯორჯის გადადგომის გამო „კურიერ პორანნი" სწერს: „ცნობა ლოიდ ჯორჯის გადადგომის შესახებ მიღებული იქნება ყველგან დიდი შემსუბუქებით. ლოიდ ჯორჯი იყო შეურწყნარებელი მტერი პოლონეთისა იმიტომ, რომ ის საფრანგეთის მოკავშირე იყო. ლოიდ ჯორჯი თავს გვახვევდა ჩვენ სასიკვდილო კაპიტულიაციას საბჭოთა რუსეთის წინაშე. ცნობა ჩვენი გაძლიერების შესახებ მან მიიღო ბოროტი მღელვარებით. ზედა-სილეზიის საკითხთან დაკავშირებით, ის ჩვენ გვიმასპინძლდებოდა უმაგალითო ცილისწამებით და მთელი საშუალებით ცდილობდა გადაეცა მთელი ზემო-სილეზია გერმანიისთვის". „კურიერ ვარშავსკი" სწერს: „ლოიდ ჯორჯის დამოკიდებულება პოლონეთთან არ შეიძლება ჩაითვალოს კარგათ. მართალია, მან მოაწერა ხელი ვერსალის ხელშეკრულებას, ამ „დიდ ხარტიას" პოლონეთისას, რაც უნდა იქნეს დავიწყებული, მაგრამ რა იყო შემდეგ?

ლოიდ ჯორჯს არ სწამდა პოლონეთის, მისი სიცოცხლის, მისი ხიდის როლის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მისი სამშვიდობო მისიის. მისი ბრალი არის ის, რომ პოლონეთის საზღვრები დღემდი არ არის დაწესებული". „კურიერ პოლსკი" სწერს: „ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ყოველივე ის, რაც ომის შემდეგ სამშვიდობოს დროს ლოიდ ჯორჯისა ეცადა და შეურაცხყოფდა. მაგრამ როდესაც შესანიშნავი კაცი მიდის სცენიდან, ჩვენ უნდა გავიმეოროთ ის, რაც სკირმუნტმა, მაშინდელმა გარეშე საქმეთა მინისტრმა უთხრა ინგლისის ელჩს: „მე არაოდეს არ შემიძლია დავივიწყო, რომ ვერსალის ხელშეკრულებაზე, რომელმაც მისცა პოლონეთს სიცოცხლე, არის ლოიდ ჯორჯის ხელის მოწერა".

**„ტაიმსის" მნიშვნელოვანი წერილი.** „ტაიმსი" ბეჭდავს მეტად მნიშვნელოვან მოწინავე წერილს „რუსეთის დაბრუნება", რომელიც შეიცავს მითითებას საფრანგეთის მიერ რუსეთის დახმარების შესაძლებლობაში სრუტეების საკითხში. მომავალში, აღნიშნავს გაზეთი, ევროპული პოლიტიკა, რომლითაც რუსეთი განცალკევებული იყო, შეუძლებელია. როგორც პარიზის ინგლისელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, „ტაიმსის" ეს წერილი განსაზღვრულად მიგვითითებს მომავალ რუსეთ-საფრანგეთის დაახლოვებაზე, რომელიც მათის აზრით სავაჭრო ხელშეკრულებაში ჩამოისხმება პირველად. კორესპონდენტები აფრთხილებენ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ მისი პასიურმა საფრანგეთის რუსეთის პოლიტიკისადმი, მიიყვანს ინგლისს სრულ იზოლიაციამდი. „ბერლინერ ტაგებლატის" პარიზელი კორესპონდენტის აზრით, ფრანგული ოფიციოზის ევოლიუცია არის ახალი დამამტკიცებელი საფრანგეთის შეგნებული მისწრაფებანია განცალკევოს რუსეთის გერმანიისა და ინგლისისაგან.

**პოლონეთის თვალს ადევნებს საფრანგეთის ახალ განწყობილებათ.** „კურიერ პოლსკის" აზრით, „საფრანგეთის პოლიტიკის შეცვლა აღარ ყოფს შესაძ-

ლ. ბელს მომავალში, უთანხმოებას პოლონეთსა და საფრანგეთს შორის რუსეთის საკითხში, განსაკუთრებით რუსეთის მეურნეობის აღდგენაში და მომავალში დაიხსნის პოლონეთს ისეთს დაბრკოლებათაგან საერთაშორისო მოლაპარაკების დროს, როგორც ეს იყო გენუასა და ჰააგაში". შემდეგ გაზეთი სწერს: „შესაძლებელია ახალი საფრანგეთის ორიენტაცია, მიუხედავად ამისა, მხოლოდ მაშინ ექნება დადებითი შედეგები და დიდი ხნით გააუქმებს ყოველ პოლიტიკურ საფრთხეს, როდესაც პრინციპიალური მიმართულება რუსეთის მიმართ, გამოვა მოჯადოებული რკალის საზღვრებიდან რიგის ტრაქტატის ხელშეკრულებისა".

**„ტაიმსი" ახმაურებულია ოსმალეთის გაძლიერების გამო.** „ტაიმსის" სტამბოლელი კორესპონდენტი სწერს: „სამშვიდობო კონფერენციისათვის ოსმალები უკვე ახლავე იქნებიან ფრაკიის სრული ოკუპაციასთან. ამ დროისათვის ისინი შესძლებენ დააგროვონ ახალი ძალები, რომელიც საფრთხე იქნება მოკავშირეების მდგომარეობისთვის სტამბოლში. ოსმალებმა სავსებით დაივიწყეს თავიანთი საერთო დამარცხება და ახსოვთ მხოლოდ უკანასკნელი გამარჯვებანი". „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ოსმალეთმა უკვე განაცხადა, რომ ის არ დაეთანხმება უცხოეთის საფინანსო კონტროლს. ოსმალეთი განსაკუთრებით წინააღმდეგია სპეციალური შეთანხმებისა, რომლითაც უცხოელ კრედიტორებს უფლება აქვთ განაგონ მისი ძვირფასი მამულების შემოსავალი.

**ფაშისტების ორგანიზაცია პოლონეთში.** „კურიერ პორანნი" იტყობინება: წარსულ კვირას ვარშავაში შესდგა პირველი სტუდენტთა რაზმი პოლონელ ფაშისტებისა, რომელიც 10 სტუდენტისაგან შესდგება. შექმნილ იქნა მათთვის საინსტრუქტორო კურსები, რომელთა დასრულების შემდეგ მსმენელები მიიღებენ ოფიცრის წოდებას და ახვევს შეისწავლიან.

**ბრძოლა პარლამენტში.** გერმანიის რეიხსტაგში განიხილა ბურჟუაზიულ პარტიებისა და სოციალ-დემოკრატების წინადადება რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებულობის ვადის გაგრძელების შესახებ. წინადადების ინიციატორთა სახელით ცენტრის ლიდერმა მარქსმა გადასცა ბერგტს მადლობა თავის პარტიისა. ნაციონალისტ ბერგმა გააკრიტიკა წინადადების ინიციატორთა პოზიცია, რომლებიც მისი სიტყვით, შეურაცხყოფას აყენებენ დემოკრატიას მოითხოვენ რა „პარტიული" პრეზიდენტი. ცბერტის დასაცავად გამოვიდა რეიხსკანცლერი ვირტი. „თავისი ყოფნით რეიხსტაგში, განაცხადა ვირტმა, შემარჯვენე პარტიები ებერტს უნდა მადლობდენ. თუ არა ის, მაშინ გერმანიაში დემოკრატიაზე დიქტატურა გამარჯვებოდა". წინადადებას იცავდენ აგრეთვე სახალხო პარტიის სახელით შტრეზემანი და სოც.-დემოკრატებისა მიულერი. კლარა ცეტკინი გამოვიდა არჩევნების გადადების წინააღმდეგ. „კომუნისტები", განაცხადა კლარა ცეტკინმა, არ ეშინიათ საარჩევნო კამპანიის და მის თანახლებულ წვრილმან ვნებათა ბრძოლებისა. ახლა ეს ბრძოლა იქნებოდა არა ბრძოლა რესპუბლიკასა და მონარქიას შორის, არამედ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის". შემდეგ ცეტკინმა ენერგიულათ დაიცვა საბჭოთა რუსეთი. ცეტკინის შემდეგ ებერტის კრიტიკით გამოვიდა ლედებურის მომხრე ვეგმანი.

**„სტანდარდ-ოილი".** თანამედროვე ამერიკული სანავთო ტრესტი „სტანდარდ-ოილი" 1870 წელს დაწესდა მხოლოდ დაახლოვებით 4 პროც. გაწმენდილ ნავთისას შეერთ. შტატებში, 1877 წ. ის უკვე კონტროლს უწევდა შტატების მთელი წარმოების 95 პროც. ამ დროისთვის ტრესტმა შეისყიდა და მოაწყო გრანდიოზული ნავთსადენი, შეკრა კონტრაქტები რკინის გზასთან, შეიძინა ან იჯარით აიღო თითქმის ყველა ვაგონი—ცისტერნები პენსილვანიაში. 1880 წ. „სტანდარტ-ოილის" გამგეობა უზრუნველყოფილი იყო და ამ წლის 2 იანვრიდან ის შეუდგა ტრესტის შექმნას; ცალკე კამპანიების აქციები გადაცემული იქნა ტრესტის კომიტეტის ხელში; ახლად შესული საზოგადოებანი

# რეაქცია იტალიაში

**ჰანოვერი 30 ოქტომბერი.** ფაშისტების მოძრაობა იტალიაში დამთავრდა ფაშისტების სრული გამარჯვებით. მუსოლინმა მიიღო მეფის წინადადება კაბინეტის შედგენის შესახებ.

მინისტრების სიაში შედის 7 ფაშისტი. ოფიციალური ცნობებით, მთელს იტალიაში სიმშვიდეა, კრემონის გარდა, სადაც ხდება სისხლის მღვრელი შეტაკებანი. შაბათს დილით რომში შემოიღეს საალყო წესები, რომელიც 2 საათის შემდეგ გააუქმეს.

**მუსოლინის საგარეო პოლიტიკა**

**ჰანოვერი 30 ოქტომბერი.** „ჩიკაგო ტრიბუნა"-ი იტყობინება, რომ ფაშისტების საგარეო პოლიტიკის პროგრამა მდგომარეობს შემდეგში: 1. უარყოფილი იქნება ყველა ხელშეკრულებანი სამხრეთ სლავიასთან დალმატიის განაპირა ადგილებისა და ფიუმეს შესახებ.

2. შეცვლა ვაშინგტონის აქტის, რათა იტალიას შეძლება მიეცეს გაადიდოს თავისი ფლოტი.

3. იტალიის ფართო მონაწილეობა გერმანიიდან მისაღებ კონტრიბუციაში.

4. დოდეკანეზის იტალიისათვის შეერთება და

5. ლოზანის კონფერენციის გადიდება, რათა უფრო დაწვრილებით გაეცნოს ახალი კაბინეთი ახლო-აღმოსავლეთის საკითხს.

**მუსოლინის განზრახვები**

**რომი 31 ოქტომბერი.** მუსოლინმა გამოუშვა მოწოდება იტალიის ხალხისადმი, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ გვსურს დავანგრიოთ პარაზიტიზმის მთელი ვეებერთელა შენობა, რომელიც ააშენეს სოციალისტებმა. იტალიამ დიდ ხანს ვერ უნდა იხილოს გაფიცვები. იტალიამ, რომელიც დროებითი ზავის შემდეგ მუშაობდა დაუსვენებლად უნდა იმუშაოს, რომ ხალხმა არ დაიღუპოს.

ჩვენ განზრახული გვაქვს გავალიდოთ ექსპორტი და გავანთავისუფლოთ სახელმწიფოს კონტროლისაგან ბანკები, შემნახველი კასები, ფოსტა, ტელეგრაფი და ყველა დანარჩენები და დაუბრუნოთ კერძო პირებს კერძო ინიციატივისათვის. მრავალი ხარჯების გამო დაეცა ჩვენი ფასიანი ქაღალდები და ჩვენ არ დავიწყებთ რყევას და შევამცირებთ სახელმწიფო მოსამსახურეების რიცხვს რომელიც ძლიერ დიდია.

თუ ომში გამარჯვებისათვის გენერლები სწირავდნენ ერთეულებს მაშ ჩვენ შეგვიძლია გავიღოთ მსხვერპლი. ჩვენ გვრწამს თავისუფლება, მაგრამ თავისუფლება არა პრესის, რომელიც აწარმოებს ცილისწამებას მეფეზე, სახელმწიფოზე და ხალხზე. გაზეთები, რომლებიც დიდ მადას გამოიჩენენ, იქნებიან დაკეტილი. იტალიელებმა უნდა შეეჩვიონ დისციპლინას და შრომას".

**ფაშისტების რომში შესვლის წინ.**

**რომი. 31 ოქტ.** ფაშისტების ოფიციალური ცნობებით, მუსოლინის რომში შესვლის დროს მხლებლების საერთო რიცხვი უდრის ათი ათას კაცს. რათა შესაძლებელი ყოფილიყო მუსოლინის ტრიუმფიალური შესვლის მოწყობა, რომის კარებიდან კვირინალამდე, როდესაც უნდა მომხდარიყო მეფესთან შეხვედრა, რომში შეჩერდა ყოველივე მოძრაობა ქუჩებში და ყველა მაღაზიები დაკეტილი იყო დილის 9 საათიდან. იტალიის ყველა ადგილებში ფაშისტებმა ჩაიბარეს უმთავრესად ფოსტა, ტელეგრაფი, რკინის გზები და პრეფექტურა. ამავე დროს გენუაში დასჭრეს 9 ფაშისტი, აგრეთვე ბოლონიაში მოხდა ინციდენტები. ფაშისტების შტაბმა გამოაცხადა ცნობა უმბრიის, ტოსკანის და ლოზიოს დაკავების შესახებ, რომელთაგან შემდგარია 6 სამხარი ზონა, ფაშისტების გენერლების ფარრის და ჩეკერინის სარდლობით.

# უცხოეთი

**იტალიის ამბების გამო.**

**მოსკოვი 30 ოქტ.** მომხდარი ამბების გამო, რომში მინისტრთა საბჭოს სხდომები ჰქონდა განუწყვეტლივ მთელი ღამე და გადაწყვიტა 30 ოქტომბერს შუადღიდან გამოეცხადოს სახელმწიფოში საალყო წესები. მთავრობა მთავრობა მოუწოდებს მცხოვრებლებს. მშვიდობიანობისა და წესრიგისაკენ.

— ფაშისტები მიერ დაწყებული სახელმწიფოებრივი გადატრიალება ტარდებოდა 27 ოქტომბრიდან მთელს იტალიაში წესიერად. კრემონში მოხდა ჯარებთან შეტაკება მოკლულია რამოდენიმე კაცი, პიაჩენცში ფაშისტებმა დაიკავეს პოლიციის ბინოვ, ფლორენციაში დაიკავეს ფოსტა და სადგური.

— ფაშისტებმა გამოაცხადეს თავიანთი ორგანიზაციის მობილიზაცია და დაიკავეს ნეაპოლი.

**აღმოსავლეთ გალიციაში.**

**მოსკოვი 30 ოქტ.** ცნობებით მოძრაობა აღმოსავლეთ გალიციაში ღებულობს სტიქიურ ხასიათს. ყოველ დღიურად მოაჩანან ახალი აჯანყებულების რაზმები მოწოდებებში მცხოვრებლებს სთხოვენ უარი სთქვან არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე და გამოუცხადონ შეურიგებელი ბრძოლა პოლონეთის მემამულეებს.

— ამერიკის გაზეთების ცნობით აღმოსავლეთ-გალიციის აჯანყებულებს განზრახული აქვთ გამოაცხადონ უკრაინის რესპუბლიკა, ლვოვის მახლობლად მდე-

ბარე სამი პროვინციის შემადგენლობით, სადაც მოიპოება ნავთით მდიდარი ადგილები.

**რუსეთის ქაღალდი საფრანგეთში.**

**მოსკოვი 30 ოქტ.** რუსეთიდან კარგი ცნობების მიღების გამო, საფრანგეთის ბირჟაზე ძლიერ. გაიზარდა ფასები რუსულ ქაღალდზე.

**ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე.**

**მოსკოვი 31 ოქტ.** ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე საბერძნეთის წარმომადგენლად იქნება ვენიზელოსი.

**შეტაკებანი ლონდონში.**

**მოსკოვი 30 ოქტ.** ლონდონის უმუშევრების შეტაკებების გამო მოხდა მასიური დაპატიმრებანი. პოლიციამ დაპატიმრებული თითქოს გაიქცევის მიზეზით შეურაცხყოფლად დახვრიტა. ქალაქში საშიში მდგომარეობაა. სუფები აღელვებული არიან, მთავრობის განკარგულებით, რომლითაც აკრძალულია სინდიკატების მუშების კრება. ხელისუფლება დიქტატურით მოითხოვს საშუალო წესების შემოღებას.

**ბორდო 30 ოქტ.** მუსოლინის სამინისტრო იქნება შემდგარი ყველა პარტიების წარმომადგენლებიდან, უმთავრესად სახალხო და დემოკრატიულის. ეხლანდელი სახელმწიფო ხაზინადარი პერატორე მიიღებს ფინანსთა მინისტრის პორტფელს, ფაშისტი სტეფანი იქნება სახელმწიფო ხაზინადარი, გრაფი როსსი დარჩება ვაჭრობის მინისტრად; კლერი კალი კავალონი მიიღებს მიწათმოქმედების მინისტრის პორტფელს მილანის

# რუსეთი

**სახალხო მუზეუმი.**

**მოსკოვი. 21 ოქტ.** მეცნიერებათა აკადემიის სახალხო მუზეუმი შევსებულ იქნა ელმოსავლეთის შემსწავლელ ახალი წიგნების მდიდარი კოლექციით, რომელიც მიღებული იქნა აკადემიის წარმომადგენლებისაგან სხვა და სხვა ქვეყნებში.

**ოქტომბრის ზეიმი.**

**მოსკოვი. 31 ოქტომ.** სარატოვის რკინის გზის სახელოსნოების მუშები ოქტომბრის რევოლ. ხუთი წლის თავს აღსანიშნავად უშვებენ რიგს გარეშე ორთქლმავლებს.

**მინსკის საბჭოში.**

**მოსკოვი. 30 ოქ.** მინსკის ახალ საბჭომ აირჩია თავის საპატიო წევრად ბელორუსიის ც. ა. კ. თავმჯდომარე ცეხანოვსკი, რომელიც ახლა პოლონეთის ციხეში ზის.

**ოქტომბრის ზეიმი.**

**მოსკოვი. 30 ოქტ.** სრულიად უკრაინის კომისიამ შეიმუშავა ფართე გეგმა ოქტომბრის ზეიმის ჩასატარებლად. „მუშები, შრომის ვეტერანები დაჯილდოვებული იქნებიან შრომის წითელ ორდენით. გამოშვებული იქნება სპეციალური კრებული, სადაც განხილული იქნება უკრაინის სახალხო კომისარიატების მოქმედება-მუშაობა. დაწესებული იქნება ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის სტიპენდია.

— ხარკოვში, კიევში. ეკატერინოსლავში ამ დღისათვის გაიხსნება სამეურნეო დაწესებულებები.

# გერმანია და ანტანტა

**თათბირები.**

**ჰანოვერი 31 ოქტ.** საკონტრიბუციო კომისიის მოსალოდნელ ჩამოსვლის გამო, იმართება საზოგადოებრივ მოღვაწეთა გაცხოველებული თათბირები კონტრიბუციის საკითხის შესახებ გაიმართა გერმანიის ექსპორტეთა თათბირი კანცლერის და ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით განიხილეს საკითხი საკონტრიბუციო კომისიის მუქარის შესახებ დააწესოს ფინანსიური კონტროლი.

**ბრედბიურის განცხადება**

**ჰანოვერი 31 ოქტ.** ლონდონიდან გამგზავრებულმა საკონტრიბუციო კომისიის დელეგატმა ბრედ ბიურიმ გაზეთ „ვესტმინსტერ" თანამშრომელს განუცხადა, რომ მას არ მიჰქონდა არავითარი საგანგებო ინსტრუქციები ლონდონის მთავრობისაგან და მისი გამგზავრების ბერლინში არ აქვს რაიმე ახალი პოლიტიკის წამოყენების მიზანი და სხოლოდ სცდილობს შემოიღოს მუშაობის ახალი მეთოდი,-თავიდან აიცილოს ინგლისის და საფრანგეთის შორის მომხდარი უთანხმოება და ადგილობრივ გამოირკვიოს საკითხი.

# ახალი ამბები

— სახალხო განათლების კომისარიატის სამხატვრო განყოფილება. ამ ოკლე ხანში გაიხსნება მუშათა სასახლეში გამოფენა პროფკავშირთა საბჭოს მიერ მოწყობილი. კომისარიატის სამხატვრო განყოფილების მიერ გამოფენაზე ნაჩვენები იქნება კლასიკურ წარმოების მთელი მუშაობის წესი, დაწყებული თიხის მოსხმადიდან—ფორმების ჩამოსხმამდე. თვალსაჩინო სახელმძღვანელო საგნების ინსტიტუტი აჩვენებს საგნების დამზადებას „პაპიე მაშეს" ქაღალდიდან, ვიდრე მხატვრების ინსცენიროვკით. ქანდაკების ხელმძღვანელები აჩვენებენ ქანდაკების და ფიგურების ჩამოსხმას, სხვა განყოფილებები კი მიიღებენ მონაწილეობას თავის ექსპონატებით. გამოფენაზე მოხდება სხვა და

სხვა დამხადებულ ნაწარმოების გაყიდვა და მიიღება შეკვეთა.

— **სახელმწიფო გამომცემლობა.** საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა შეეკრა პირობით რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობას და მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს, რათა ორი კვირის განმავლობაში ოქტომბრის ბოლო რიცხვებში და ნოემბრის დასასყისში ჩაიბარონ ადგილობრივ სახელ. გამომცემლობას, პოლიტიკური, ლიტერატურული და სახელმძღვანელო წიგნები საქართველოს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებისათვის.

**ახალი სახელმძღვანელო წიგნი.** გამოვიდა და იყიდება ახალი სახელმძღვანელო „ჩვენი სკოლა“, შრომის სკოლის მეორე განყოფ. სრული კურსი, წიგნი შემკულია ექვსი ფერადი სურათებით, გამოცემულია სახელმწიფო გამომცემლობის მიერ. ღირს ყველგან 120 ათასი მან. ვინც ამ ფასზე ზევით გაყიდის წიგნს დასჯილი იქნება კანონის ძალით.

— **სამალარიო საწინაამდეგო ექსპედიცია.** ლაგოდეხისა და სიღნაღის მაზრებიდან უკვე დაბრუნდა სამალარიო ექსპედიცია, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მივლინებული ციებ-ცხელებასთან საბრძოლველად. ექსპედიციის სამოქმედო ფარგლებს შეადგენდა ლაგოდეხი და მის ახლო მდებარე სოფლები: შრომა, კავშირი, ვაშლოვანი და უნჯა. სამწუხაროდ ექსპედიციის განკარგულებაში ძლიერ მცირე დოზა ქინინისა იყო გადაცემული, სულ სამი, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილება ასეთზე, განსაკუთრებით ლაგოდეხის რაიონში ძლიერ დიდი იყო. ექსპედიციამ იმუშავა სულ 12 დღე, რომლის განმავლობაში მედიცინური დახმარება იქნა აღმოჩენილი 500-მდე ციებ-ცხელებიანისათვის, ხინის უფასო დარიგებით. სიღნაღის მაზრაში განსაკუთრებით დაავადმყოფებულია ალაზანი გაღმა ნახევარი სადაც ჩამოსული მცხოვრებლები უფრო მეტ ტანჯვას განიცდიან ამ სენით ვინემ ადგილობრივი მცხოვრებლები. მაგალითად, ექსპედიციის გამორკვევით, სოფლებში ვაშლოვანსა და უნჯაში, დასახლებული არიან ამ 15—20 წლის წინ, ქუთაისის მაზრიდან იმერლები, რომლებიც გამოუკლებლივ შეპყრობილნი არიან ამ სენით და მრავალია სიკვდილით შემთხვევები მალარიის ნიადაგზე მაშინ, როდესაც ადგილობრივები, უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს. ასეთივე მდგომარეობაა რუსის მცხოვრებლებით და ამ ბოლო დროს (მენშევიკების დროს) იმერლებით ჩასახლებულ ნორიოს-წყალზე, სადაც მალიარია მუსრს ავლებს მცხოვრებლებს და განსაკუთრებით ქართველებს.

ადგილობრივ ადგილობრივმა საქმე ჯერ ისე მოწყობილი. მედიკამენტის უქონლობის გამო ხდებოდა ფიზიოთერაპიის წამლებზე. მცხოვრებლები გარბოდნენ მკითხავ მკურნალ დედაბრებთან და სხვა ყოველივე ამას საწინააღმდეგოდ ექიმებს უძნელდებოდათ ბრძოლა, თუმცა დღეს-დღეობით სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მიღებულია ენერგიული ზომები ამის სალიკვიდაციოდ.

საზოგადოდ ამ რაიონებში მოსავალი კარგი ყოფილა ყველგან, როგორც ღვინის ისე პურისა.

— **ახალ-სენაკი.** რედაქციამ მიიღო სენაკში ახლად გამოცემული ი. გოძელიძის სახელმძღვანელო „ქართველი მწერლები“ წიგნი 1. წიგნი იყიდება სენაკის წიგნის მაღაზიაში (ბაქოს ქ. № 4), ღირს ასი ათასი მანეთი.

## პროვინციის ცხოვრება

**კონფერენცია სკოლების საქმების შესახებ**

ქუთაისში პირველად მიმდინარე სასწავლო წელში შესდგა ამხ. მახარაძის თავმჯდომარეობით კონფერენცია ტექნიკუმებისა და შრომის სკოლების გამგეების. ამხ. მახარაძემ გააკეთა მოხსენება სკოლის ახალი პრინციპების, ახალი გეგმების მიზნებისა და სკოლების შემოწმების შესახებ, აგრეთვე გამოარკვია საკითხი სწავლის გადასახადის შემოღებისა. შემდეგ მოსმენილ იქმნა მოხსენებები ადგილებიდან, საიდანაც გაირკვა, რომ სწავლის საქმე გაუმჯობესდა მხოლოდ ქუთაისში, ხონსა და სამ თემში ტერიტორიაში, სკოლებში სამოსწავლო საქმე არა დამაკმაყოფილებელ

მდგომარეობაში იმყოფება. ინვენტარი და სამოსწავლო სახელმძღვანელოები სკოლებში არ არის და ადგილობრივი აღმასკომები განვითარების საქმეს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. გამოირკვა აგრეთვე, რომ ყველგან, სადაც გამგეებმა გამოიჩინეს ცოცხალი ენერგია, სასკოლო საქმე გაუმჯობესდა, კონფერენციაზე წამოჭრილმა პრაქტიკულ კითხვებმა დაარწმუნა უკანასკნელი რომ საჭიროა პერიოდულად თათბირების და ყრილობების მოწვევა.

## სამხატვრო ქრონიკა

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 1 ნოემბერს ნ. ბოგოლიუბოვის ახამიერ ლი დადგმით „ევგენი ონეგინი“ ტატიანა—ბოკოვა, ოლღა—ბორონკინა, ლენსკი—სარაჯიშვილი, ონეგინი—ინაშვილი.

—

გაზეთი „ბახტრიონი“ გამოვიდა გაზეთი „ბახტრიონის“ მორიგე მე-17 №-რი შემდეგი შინაარსით: პროფესორი ცაგარელის იუბილე—გ. ლ. ქართული წიგნი, ს. კ. ქართველი ქალები—არტურ ლეისტის: არტურ ლეისტის იუბილე. ბალდახინი—კოლაუ ნადირაძე—შალვა კარმელის. ილია ჭავჭავაძის ნაწერები—გიორგი ლეონიძისა; ნიკო ფიროსმანი—ეგნატე მენთეშაშვილისა; ბიბლიოგრაფია—ვაჟა-ფშაველა ტომი I შალვა დადიანის; ლექსები: რაჟდენ გვეტაძისა და ნინო თარიშვილის. გაზეთის ფასი 10.000. რედაქციის ადრესი: პუშკინის პასსაჟი. ტელ. 8—04.

—

— **რუსთაველის თეატრი** ხუთშაბათს, ნოემბრის 2 ს რუსთაველის თეატრში განმეორებული იქნება შალვა დადიანის პიესა „ვარამი“.

## პარტიაში

**„არჩილ ჯორჯაძის სახელობის პოლიტიკური წრე“.**

ოთხშაბათს 1 ნოემბერს, პარტიის ცენტრალურ კლუბში წაიკითხება მორიგი მოხსენების გაგრძელება „მარქსიზმი და ეროვნება“.

დასწრება შეუძლია ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებს და თანამგრძნობთ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

გადასცა იგი საბოლოო დასკვნისათვის საუწყებათაშორისო საბიუჯეტო-სახარჯთ-აღრიცხვო კომისიას.

**ადგილობრივ გადასახადების შემოღების წესი.** ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო, ადგილობრივ აღმასკომების მიერ გადასახადების წესის შემოღების შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს ყველა აღმასკომებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, რომ მათ ადგილობრივ გადასახადების შემოღების დროს სასტიკად დაიცვან არსებული კანონდებულებანი და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცირკულიარები.

**იუსტიციის სახალხო კომისარიატის შტატების გადიდება.** მაზრებში მიწის საკითხების გამხილველ კომისიების დაარსების გამო, რომელშიაც უნდა შევიდნენ მუდმივ წევრებად იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებიც, იუსტიციის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გადიდებულ იქმნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის შტატი [illegible] დამტკიცებული იქნეს აღნიშნული წევრების [illegible] სახარჯთ-აღრიცხვა 1922 წლის სექტემბრის 1-დან 1923 წლის იანვრის 1-დე 354.780,000 მან. რაოდენობით.

**სამხედრო-საზღვაო სასწავლებლების შენახვა.** სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის შესანახად მიმდინარე სამოსწავლო წელში გაცემულია 4,554,556.000 მ.

**სტატისტიკოსების ყრილობა.** ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განკარგულებაში სტატისტიკოსთა ყრილობის მოსაწვევად გაცემულია 77.224.000 მანეთი.

**დახმარება საბავშვო სახლებს.** ტფილისის საბავშვო სახლების საჭიროებისათვის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაცემულია ხუთასი მილიონი მან. გარდა ამისა წინადადება მიეცა საქართველოს ყველა ეკონომიურ სახალხო კომისარიატებს დახმარება აღმოუჩინონ აღნიშნულ სახლებს ფულით და ნატურით.

## წყალდიდობა საქართველოში

**სამეგრელოში**

უკანასკნელმა წყალდიდობამ ყველაზე მეტი ზარალი სამეგრელოში მოიტანა. დაბალ ნაპირებიანმა მდინარეებმა გადალახეს სამეგრელოს ვაკეები და დაფარეს არა ნაკლებ 80 პროც.

საზოგადოებრივ და პირად ქონებისა სანაპირო სოფლებისა—ნაესაკოვო, გალის კოდორი, გამოდმა კოდორი, ტყვირი, კეთილარი, ნიღორი, სანოდიო, წალკარი, ორივე ეწერი, საძა, გებათი—გუდუხეთი, ძონწირი—ისური, ქვედა და ზედა ჭალადიდი; მთელი ეს სივრცე დაფარულია წყლით, რომლის სიღრმე 1—2 არშინს შეადგენს. არც ერთი წისქვილი არ დარჩენილა წაუღებელი ცხენის წყლის, ტეხურის, აბაშის და ინგურის ნაპირებზე.

დაზარალებულ სოფლებს აღმოუჩინათ ენერგიული დახმარება. ადამიანთა მსხვერპლი არის, მაგრამ რაოდენობა არ არის გამორკვეული. დაზარალებულებს გაუგზავნეს სურსათი.

სამეგრელოს დასახმარებლად საჭირო გახდება რამოდენიმე ათეული მილიარდი მან.

**რაჭაში**

23 ოქტომბრიდან შეუწყვეტელი წვიმა მოდიოდა. მდინარე რიონი გადმოვიდა და ნაპირებიდან და განადგურა სოფლები, ხიდები, ჭორნები, წისქვილები, მინდვრები და სხვ. რაჭის მაზრა წყალდიდობით სამ ნაწილად არის გაყოფილი, რომელთა შორის კავშირი შეწყვეტილია. მთელი სამხედრო—ოსეთის გზა დანგრეულია წყალდიდობით. ქალაქი ონი მოწყვეტილია მაზრას. ზარალი იმდენად დიდია, რომ მისი გამოსარკვევად საჭიროა თვეები. საჭიროა დახმარება ფულით, მანუფაქტურით და სხვა საშუალებებით

**ფოთში**

26 ოქტომბერს მდინარე კაპარჩა გადმოვიდა ნაპირებიდან და მოედვა მთელ ქალაქს. წყალი ზოგიერთ ადგილს ორ არშინამდი აღწევდა. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. გადარეცხილია ქუჩები, წაღებულია რიონის ჩრდილოეთის შტოს ხიდი, რამოდენიმე სახლი; წაღებულია დიდძალი შეშა და სტყეო მასალა. დაიღუპა მრავალი საქონელი.

27 ოქტომბერს ღამით წყალმა თანდათან კლება იწყო.

## საქართველოს დაშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში

**დეპეშა ოზურგეთიდან**

ტფილისი-საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. **ფ. მახარაძეს.**

სამსახურის გამო ბათომში ყოფნის დროს 26 ოქტომბერს გავიგე ლანჩხუთის რაიონებში წყალდიდობის უბედური მოვლენა ამხანაგ ცინცაძისაგან, სადაც მოვახდინე სათანადო განკარგულება და სასწრაფოდ მატარებლით გავამგზავრეთ ადგილობრივ ექვსი ნავით თავისი რაზმით, რომელიც არ აღმოჩნდა საკმარისად და დეპეშით ბათომის საკომსაბჭოდან მოვითხოვეთ კიდევ დამატებითი ნავები, მოგვაშველეს კიდევ 19 ნავი, რომლებმაც 25 ღამის 2 საათიდან დაიწყეს მუშაობა და გამოყავდათ გამუდამებით ხალხი. იდგა ჩიბათიდან დაწყებული სადგურ საჯევახომდის რკინის გზის ლიანდაგზე მარცხნივ სოფლებზე და ყანებზედ. ზარალი აუწერელია. ადამიანთა და პირუტყვთა მსხვერპლის რაოდენობა გამოურკვეველია. აჭარისტანის მთავრობამ გადაჭარბებული დახმარება გაგვიწია ყოველ მხრივ. წყალთან ბრძოლა სწარმოებს, შედეგს გაცნობებთ, საჭიროა თქვენი დახმარება.

სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე მგალობლიშვილი.

**დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულ მაზრებს და სხ.**

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა თავის ამა წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით **დაადგინა:** მიეცეს წყალდიდობისაგან დაზარალებულ მაზრებს და ქალაქებს სასწრაფო დახმარების მიზნით, შემდეგი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | შორაპნის მაზ. | 300.000.000 | მ. |
| 2. | რაჭის | 200.000.000 | „ |
| 3. | ქუთაისის | 300.000.000 | „ |
| 4. | სენაკის | 400.000.000 | „ |
| 5. | დუშეთის | 300.000.000 | „ |
| 6. | ბორჯომის რ-ნს | 200.000.000 | „ |
| 7. | ახალციხის მაზ. | 200.000.000 | „ |
| 8. | ოზურგეთის | 200.000.000 | „ |
| 9. | ახალქალაქის | 200 000.000 | „ |
| 10. | სამხრეთ-ოსეთს | 200.000.000 | „ |
| 11. | აჭარისტანს | 500.000.000 | „ |
| 12. | ქ. ტფილისს | 500.000.000 | „ |

გარდა ამისა დახმარება მიეცა შემდეგ დაწესებულებებს:

1. აბასთუმანის სანატორიუმს შენობის ადგილობრივ „არაზინდო“-ში დამთავრებულ კომისიას 500 მილ.

2. ტფილისის აღმასკომს ბავშთა სახლებისათვის 500 მილიონი.

3. მასვე-კოჯორის ბავშვთა სახლებისათვის 200 მილიონი.

4. დუშეთის ბავშთა სახლს 200 მილიონი.

5. ლანჩხუთის აღმასკომს სკოლის შენობის დასამთავრებლად 150 მილიონი.

6. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს ულარიბეს სტუდენტთა დასარიგებლად 500 მილიონი.

7. შემოქმედის აღმასკომს სასწავლებლის შენობისათვის 100 მილიონი.

სულ 5.550.000.000 მანეთი, ხუთი მილიარდი ხუთას ორმოცდაათი მილიონი მანეთი, რომელიც უკვე გადაეგზავნა ზემოაღნიშნულ მაზრებს.

**საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.**

## სახალხო კომისართა საბჭოში

**რესპუბლიკაში პურის დამზადება.** სასურსათო სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო რესპუბლიკის ფარგლებში სასურსათო გადასახადის გარდა პურის დამზადების წესისა და საშუალებათა შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს მისცეს სასურსათო სახალხო კომისარიატს ზემოაღნიშნულ საჭიროებისათვის სახალხო ბანკის მეშვეობით სესხი ათი მილიარდი მანეთის რაოდენობისა.

**ქალაქის აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალაქ ტფილისის აღმასკომის ფინანსიური მდგომარეობის გამომრკვევ კომისიის მოხსენება, რომელიც მიღებულ იქმნა ცნობად. ამასთან დაკავშირებით ქალაქ ტფილისის აღმასკომის მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამოცნობილ იქნა გავრცელებულ იქნეს ქალაქ ტფილისის აღმასკომზე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის დადგენილება რესპუბლიკის ყველა შემოსავლიდან ქალაქ ტფილისში 30 პროცენტიანი ანარიცხის შესახებ.

**ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა.** სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა სათბობი მასალის შესაძენად საჭირო თანხის შესახებ, რისთვისაც წინადადება მიეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს მისცეს მას მისივე კრედიტებიდან 3,269,680,000 მ.

**სამოსწავლო სახელმძღვანელოების გამოცემა.** განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში სახელმწიფო გამომცემლობის მიერ სამოსწავლო სახელმძღვანელოების გამოცემისათვის გაცემულია ორი მილიარდი მ.

**მუშათა ფაკულტეტების ხარჯთ-აღრიცხვა.** სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულია განათლების სახალხო კომისარიატისაგან წარმოდგენილი სახელმწიფო უნივერსიტეტთან და პოლიტეხნიკური ინსტიტუტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტების შესახები ხარჯთ-აღრიცხვა და აგრეთვე ას სტუდენტისათვის ინტერნატის მოსაწყობად 1923 წლის აპრილის 1-დე სულ 3 მილიარდი 672 მილ. 250.000 მანეთის რაოდენობით; ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა გაუხსნას განათლების სახალხო კომისარიატს სათანადო კრედიტი.

**საქსოვი ფაბრიკა ქუთაისში.** მოიწონა რა სახალხო კომისართა საბჭომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა მოსკოვიდგან მიღებულ საქსოვ ფაბრიკის ქუთაისში ადატანისა და მოწყობის შესახებ,

## ქართული ენის სექცია.

განხილულმა სამოსწავლო წელმა მოგვცა ერთი ისეთი სიმპატიური დაწესებულება კულტურულ სარბიელზე მშრომელთათვის, როგორიცაა „განათლების მუშაკთა სახლი“.

ვინც თვალყურს ადევნებს ამ „სახლის“ მუშაობას, დარწმუნდება, რომ მრავალი ახალი პედაგოგიური იდეების და აღზრდის ახალი თეორიების შესახებ სწარმოებს აქ მუშაობა სხვა და სხვა სპეციალური სექციების მიერ, რომლებსაც აღებული აქვთ რომელიმე პედაგოგიური ან დიდაქტიური ხასიათის საკითხები და სცდილობდნენ მათ თეორიულად შესწავლას და იმუშავებენ მეთოდს, ამ საკითხების პრაქტიკული გამოყენების შესაძლეობისათვის,

ეს ფაქტი დიდად საგულისხმიეროა იმიტომ, რომ ამით ცხადად მჟღავნდება პედაგოგიური არენაზე მოღვაწეთა, ინტერეს—მოყვარეობა ყოველი ახალი მეცნიერულ—პედაგოგიური საკითხებისადმი, რომლებიც ახალი ცხოვრების მიერ არის წამოყენებული და ძლიერი რეფორმების სახით იჭრება ჩვენს სკოლებში. —ეს რეფორმა განსაკუთრებით სასკოლო პროგრამულ საკითხების ხელახალ გადამუშავებაში გამოიხატება, რაც ახალი სკოლის იმ მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომლებსაც ამ უკანასკნელს უყენებს თანამედროვე სოციალური ცხოვრების პირობები.

ჩვენ ვიცით, რომ ახალმა სასკოლო სისტემამ ყოველი საგნის შესწავლის პროგრამაში დიდი ცვლილება მოახდინა მაგრამ ყველა საგნებზე უფრო ეს ცვლილება ქართულ სკოლებში, სამშობლო ენის შესწავლაში გამოიხატება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ განახლებულ ქართულ სკოლას, რომელშიაც თანდათანობით იდგამს ფეხს ექსპერიმენტზე დაყრდნობილი პედაგოგიკის პრინციპები, თან დაერთო დამოუკიდე-

